



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #048/15 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

დიანა ზაქარაია (სტუდენტი)

ფაქტები

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა მოპასუხე მხარის ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

კლიენტს აყვანილი ყავდა ადვოკატი, რომელთანაც გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება და ის წარმოადგენდა მის ინტერესებს, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო საქმეებზე. მეორე ადვოკატმა, რომელიც ამ შემთვევაში არის კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე სისხლის სამართლის საქმეში გამოწერა ორდერი კლიენტის დაცვის თაობაზე, რის საფუძველზეც გამოითხოვა მასთან დაკავშირებული განაჩენის ასლი და განჩინება ამინისტიის შესახებ, მიღებული ინფორმაცია კი გამოიყენა თავისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

პროცესუალური ისტორია

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

სამართლებრივი შეფასება

კლიენტის ინტერესების დასაცავად არც თავად მსჯავრდებულის, არც მისი ნათესავის და არც სხვა პირის მიერ მოწვეული არ იყო ადვოკატი. კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს წარმოემოხა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, რომელიც შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმით. სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის არჩევა ხდება როგორც კლიენტის ასევე მასთან დაკავშირებული მესამე პირის მიერ.

კომისია მიუთითებს, რომ ადვოკატის მიერ გამოწერილი ორდერი იყო მიღებული სხვა მიზნით და შესაბამისად ის იქნება ფიქტიური სახის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით არსებულ სამართლებრივი ორდერის ბუნებას. ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინიჭებულ უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რის საფუძველზეც ადვოკატს აქვს უფლება იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში. ადვოკატი როგორც წესი ორდერს გამოწერს განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც სხვა კლიენტის დავალების შესასრულებლად ან ინტერესების დაცვის მიზნით.

კომისიის შეფასებით ადვოკატის მიერ გამოწერილი ორდერი გულისხმობს კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულებას და რადგან აღნიშნული ორდერი იყო ფიქტიური ხასიათის ის არ ისახავდა მიზნად კლიენტის ინტერესების დაცვას. მოცემული ფაქტი ადვოკატმა დაადასტურა საპროცესო სხდომაზე ახსნა-განმარტების სახით და აღნიშნა, რომ გამოწერილი ორდერი არ ისახავდა მიზნად კლიენტის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ორდერი გამოიყენა მან თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად სამოქალაქო საქმეზე.

დასკვნა

ადვოკატის მიერ დარღვეულად ჩაითვალა კლიენტის ინტერესების ეთიკური საშუალებებით დაცვის ვალდებულების პრინციპი. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

განსხვავებული აზრი

განსხვავებული აზრის მიხედვით სავარაუდო გადაცდომას წარმოადგენდა ადვოკატის მიერ ფორმალური ორდერის ამოწერა კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან შეხვედრის მიზნით, რათა კლიენტის ინტერესები დაეცვა და ამ ნაწილში ადვოკატის მიმართ უნდა დაწყებულიყო დისციპლინური დევნა.